ავტობიოგრაფია

მე, ეკატერინე კახნიაშვილი დავიბადე 1977 წლის 09 ოქტომბერს, ქ. ჭიათურაში.

1983-1994წ. - დავამთავრე ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლა.

1994 წელს ჩავირიცხე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და საინჟინრო ეკონომიკურ ფაკულტეტზე (სპეციალობით - საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი), რომელიც დავამთავრე 1999 წელს და მომენიჭა მენეჯერის კვალიფიკაცია.

2000 წელს ჩავირიცხე საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სპეციალობით - სამართალმცოდნეობა), რომელიც დავამთავრე 2005 წელს და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 13.09.2016 წელს გაცემული დიპლომით აღიარებულ იქნა, ერთსაფეხურიანი - 5 წლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და იურისტის კვალიფიკაციის მინიჭება.

2006 წლის 06 თებერვალს, მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კომპლექსური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2011 წლის 30 ნოემბერს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

18.03.2023 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.

01.05.2001 – 15.07.2004 წლებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ვიყავი თბილისის საოლქო სასამართლოში - კომპიუტერის ოპერატორის პოზიციაზე.

15.07.2004 – 01.11.2005 წლებში ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოში სხდომის მდივნის პოზიციაზე.

07.11.2005 -06.03.2006 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლო სხდომის მდივნის პოზიციაზე.

06.03.2006 – 18.04.2018 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

18.04.2018 – 26.10.2023 წლებში ვმუშაობდი მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

2010-2019 წლებში მონაწილეობას ვიღებდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შემდეგ პროფესიულ ტრენინგსა და სასწავლო კურსებში:

2010 წლის 13-14 ნოემბერი - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2012 წლის 20 იანვარი - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2016 წლის 17-18 დეკემბერი - ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა / OHCHR.

2017 წლის 14 მარტი - მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა / CoE.

2017 წლის 3 აპრილი - საპროცესო დოკუმენტების შედგენა (სამოქალაქო სამართალი), ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2017 წლის 23 აპრილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები), ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2017 წლის 30-31 მაისი - სასამართლოს მოხელეთა ეთიკის წესები, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2017 წლის 14-15 ოქტომბერი - პროდუქტიულობისა და წარმატების მიღწევის უნარები, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2018 წლის 29-30 სექტემბერი - ნორმის განმარტება, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა/GIZ.

2018 წლის 27-28 ოქტომბერი - რელაცია და სუბსუმციის ტექნიკები, ორგანიზაცია/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა / GIZ.

2019 წლის 30 ნოემბერი, 1-2 დეკემბერი - საკორპორაციო სამართალი, ორგანიზატორი/დონორი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა / GIZ.

26.10.2023 – 26.10.2024 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსი.

ეკატერინე კახნიაშვილი

08.11.2024 წელი